

2021 წლის „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსი“

ხშირად დასმული კითხვები

საკითხები: GMUS-ში რეგისტრაცია
წარმოსადგენი დოკუმენტები
სამეცნიერო გუნდი
ბიუჯეტი
გეგმა-გრაფიკი

GMUS-ში რეგისტრაცია

1. რეგისტრირდებიან თუ არა GMUS-ში, ხელმძღვანელი და კონსულტანტი?

პასუხი: დიახ, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და საქართველოს მოქალაქე კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცალ-ცალკე რეგისტრირდებიან GMUS-ში, ქმნიან “მეცნიერის პროფილს”, ავსებენ ბიოგრაფიულ მონაცემებს და ტვირთავენ დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტებს. უცხოელ კონსულტანტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეუძლია არ დარეგისტრირდეს GMUS-ში, მისი CV ინგლისურ ენაზე შესაბამისი ქართული თარგმანით შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმატის, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს მის მიერ შევსებულ და ხელმოწერილ „თანხმობის წერილში“ (დანართი 6) მითითებულ ვებგვერდ(ებ)ის ბმულ(ებ)ში.

2. GMUS-ში მეცნიერის პროფილის შევსებისას მაგისტრანტმა აკადემიური ხარისხის/სტატუსის ველში რა სტატუსი უნდა მიუთითოს?

პასუხი: მაგისტრანტმა აკადემიური „ხარისხის/სტატუსის“ ველში უნდა მიუთითოს მაგისტრანტის სტატუსი, მიუთითოს სწავლის დაწყების თარიღი და ატვირთოს ცნობა მაგისტრატურის აკრედიტებულ პროგრამაზე სწავლის შესახებ და ნიშნების ფურცელი (ეს ორი დოკუმენტი ერთ PDF-დოკუმენტად გაერთიანებული სახით ასევე იტვირთება ამ კონკურსზე პროექტის რეგისტრირებისას „სამეცნიერო გუნდის“ გვერდის „მაგისტრანტის“ შესაბამის ველში).

3. უნდა დარეგისტრირდეს თუ არა, უცხოელი კონსულტანტი GMUS-ში ქართულ და ინგლისურ ენებზე?

პასუხი: უცხოელი კონსულტანტი GMUS-ში რეგისტრირება არ არის აუცილებელი. მისი სურვილის შემთხვევაში შეუძლია დარეგისტრირდეს მხოლოდ ინგლისურ ენაზე, თუ ის არ ფლობს ქართულ ენას.

წარმოსადგენი დოკუმენტები

4. რა შემთხვევაში სჭირდება მაგისტრანტს ცნობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უსასყიდლოდ გამოყენების შესახებ?

პასუხი: აღნიშნული ცნობა მაგისტრანტის სჭირდება იმ შემთხვევაში, თუ იგი კვლევის განსახორციელებლად იყენებს სხვა ორგანიზაციის, კვლევითი ცენტრის და ა.შ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას უსასყიდლოდ.

5. მაგისტრანტმა ბაკალავრის ნიშნების ფურცელი უნდა წარმოადგინოს თუ მაგისტრატურის?

პასუხი: მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მაგისტრატურის ნიშნების ფურცელი.

6. სად უნდა ატვირთოს მაგისტრანტმა ნიშნების ფურცელი?

პასუხი: მაგისტრანტმა მაგისტრატურის ნიშნების ფურცელი (PDF-ვერსია) უნდა ატვირთოს GMUS-ის საკუთარ „მეცნიერის პროფილში“. ასევე, გააერთიანოს ეს საბუთი მაგისტრატურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ ცნობის PDF-ვერსიასთან ერთად და ატვირთოს GMUS-

ში ერთ დოკუმენტად, ამ კონკურსზე პროექტის რეგისტრირებისას „სამეცნიერო გუნდის“ გვერდის „მაგისტრანტის“ შესაბამის ველში.

7. ფასდება თუ არა მაგისტრანტის აკადემიური მოსწრება?

პასუხი: დიახ, ფასდება.

8. რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს მაგისტრანტმა ფონდში?

პასუხი: მაგისტრანტმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ 2021 წლის 22 ნოემბრის 16:00 საათამდე.

9. ხელმძღვანელისა და კონსულტანტის რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს წარმოადგინოს მაგისტრანტმა პროექტში?

პასუხი: მაგისტრანტმა პროექტის რეგისტრირებისას უნდა წარმოადგინოს ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV) და კონსულტანტის თანხმობის წერილი. საქართველოს მოქალაქე კონსულტანტის შემთხვევაში თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ კონსულტანტი არის უცხოელი, ეს დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისური ორიგინალისა და ქართული თარგმანის სახით.

10. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა დაიცვა დოქტორის ხარისხი, მაგრამ ჯერ არ აქვს დიპლომი, შეიძლება თუ არა რომ წარმოვადგინო ცნობა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

სამეცნიერო გუნდი

11. შეიძლება თუ არა, რომ კონსულტანტი იყოს უცხოელი?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

12. შეიძლება თუ არა, კონსულტანტი იყოს სხვა უნივერსიტეტთან აფილირებული?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

13. შეიძლება თუ არა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი იყოს ერთი და იგივე ადამიანი?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

14. შეიძლება თუ არა, რომ კონკურსში მონაწილეობდეს 2 მაგისტრანტი, რომლებსაც ერთი და იგივე ხელმძღვანელი ჰყავს?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

15. შეიძლება თუ არა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს სხვა უნივერსიტეტთან აფილირებული?

პასუხი: სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა იყოს – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ემერიტუსი, საპატიო პროფესორი ან მოწვეული პროფესორი. ხელმძღვანელის აფილიაცია შესაბამისობაში უნდა იყოს მაგისტრანტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეგულაციებთან.

ბიუჯეტი

16. უნდა იყოს თუ არა, დასაბუთებული სტიპენდიის მიზნობრიობა?

პასუხი: არა, GMUS-ში პროექტის ბიუჯეტის შევსებისას მაგისტრანტის სტიპენდიის

დასაბუთებისთვის ველი არ არის გამოყოფილი.

17. სტიპენდია და სწავლის საფასური სხვადასხვა ხარჯვით კატეგორიებს წარმოადგენს თუ არა?

პასუხი: დიახ, სხვადასხვა კატეგორიებია. სტიპენდია წარმოადგენს პროექტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მუხლს, ხოლო სწავლის სემესტრული გადასახადი შეგიძლიათ გაითვალისწინოთ პროექტის ბიუჯეტის „სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯების“ ფარგლებში.

18. საჭიროა თუ არა, თანხები წარმოდგენილი იყოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით?

პასუხი: ფონდის მხრიდან მოთხოვნილია, რომ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და კვლევითი ვიზიტი უნდა იყოს ხელმძღვანელთან შეთანხმებული. ხელმძღვანელი აკადემიურ ხელმძღვანელობას უწევს მაგისტრანტის მიერ დაგეგმილ/განხორციელებულ კვლევას და ანგარიშგების ეტაპზე ადასტურებს ხელისმომწერით პროექტის ეტაპების განხორციელებას.

19. არის თუ არა გრანტი გათვალისწინებული უცხოელ კონსულტანტზე?

პასუხი: არა, საგრანტო დაფინანსება არ ითვალისწინებს პროექტში ჩართული სხვა პირების (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, კონსულტანტი) შრომის ანაზღაურებას.

20. როგორ ხორციელდება შესყიდვები?

პასუხი: შესყიდვები უნდა განახორციელოთ დამოუკიდებლად, საკუთარი სახელით. შესყიდვების განხორციელება შეგიძლიათ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთიდან.

21. უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯებთან დაკავშირებით რაიმე ლიმიტები არსებობს?

პასუხი: უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ფარგლებში სადღელამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების ლიმიტები განისაზღვრება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად, ხოლო მგზავრობის დროს უნდა ისარგებლოთ ეკონომ-კლასის ბილეთით.

22. შეიძლება თუ არა, მოთხოვნილი თანხა გათვლილი იყოს მხოლოდ უცხოეთში ვიზიტებზე?

პასუხი: შეიძლება. მთავარია, არ დაარღვიოთ კონკურსის პირობებით დადგენილი ფინანსური მოთხოვნები.

23. არის თუ არა რაიმე ლიმიტი დაწესებული სავსე ხარჯზე?

პასუხი: სავსე ხარჯზე ლიმიტი არ არის დაწესებული. გაითვალისწინეთ, რომ ანგარიშგების ეტაპზე მოგიწევთ ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

24. შეიძლება თუ არა, სავსე ექსპედიციაში მაგისტრანტის გარდა სხვა პირის, მაგალითად, ხელმძღვანელის მონაწილეობის დაფინანსება?

პასუხი: მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების ფარგლებში არ შეიძლება დაფინანსდეს სხვა პირის, მათ შორის ხელმძღვანელის ხარჯები სავსე ექსპედიციაში/ღონისძიებაში მონაწილეობისთვის, კვლევითი ვიზიტის და სხვა.

25. შეიძლება თუ არა, ბიუჯეტი ითვალისწინებდეს სატრანსპორტო საშუალებისთვის გაწეულ ხარჯს (მაგ: საწვავის შეძენა, ტრანსპორტის დაქირავება...)?

პასუხი: დიახ, სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების, სავსე სამუშაოების ხარჯების მუხლში შეგიძლიათ გაითვალისწინოთ სავსე სამუშაოების ან/და ექსპედიციის ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების დაქირავების, ან საწვავის შეძენის ხარჯი.

26. შეიძლება თუ არა, ხელშეკრულების გაფორმება ფიზიკურ პირთან?

პასუხი: დიახ, ხელშეკრულება შეგიძლიათ გააფორმოთ როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირთან.

27. შეიძლება თუ არა, თანხების გადანაცვლება გამარჯვების შემდეგ?

პასუხი: გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების

შეტანა შესაძლებელი იქნება დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებული დეტალები დაზუსტდება საგრანტო ხელშეკრულებით.

28. როგორ ხდება გამარჯვებულებისთვის თანხის გადარიცხვა?

პასუხი: საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (არაუგვიანეს 20 დღის ვადაში) მაგისტრანტს ავანსის სახით გადაერიცხება მთლიანი ბიუჯეტის 80%, ხოლო დარჩენილი 20% გადაირიცხება მაგისტრანტის მიერ ფონდში წარდგენილი საბოლოო ანგარიშის განხილვისა და ფონდის მიერ შედგენილი აქტის შესაბამისად.

29. იბეგრება თუ არა გრანტის თანხა?

პასუხი: მიღებული საგრანტო დაფინანსება არ იბეგრება, თუმცა მიღებული გრანტის ფარგლებში გაწეული მომსახურების შესყიდვის დროს უნდა იხელმძღვანელოთ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული პირობებით.

30. რა ითვლება თანადაფინანსებად?

პასუხი: თანადაფინანსებაში იგულისხმება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერა. თანადაფინანსებაში არ ჩაითვლება სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი ან სტიპენდია. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება ან რაიმე არაფულადი სახით გაწეული დახმარება არ ითვლება თანადაფინანსებად.

გეგმა-გრაფიკი

31. პროექტის გეგმა-გრაფიკი ივსება თუ PDF დოკუმენტის სახით იტვირთება?

პასუხი: პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, ისევე როგორც ბიუჯეტი ივსება GMUS-ში.

32. რას გულისხმობს გეგმა-გრაფიკის დასაბუთება?

პასუხი: გეგმა-გრაფიკის დასაბუთება გულისხმობს პროექტის შესრულების გეგმის (ამოცანებისა და აქტივობების ეტაპების, ვადებისა და გზების) განხორციელებადობასა და შესაბამისობას კვლევის მიზნებთან.